სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 16 ივნისის N124/01-01 „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბრძანების საფუძველზე ფსიქოლოგიის დეპარტამენტში გამოცხადებული ასისტენტ პროფესორის კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 14 ივლისის №81/2017 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი N3

ქ. თბილისი 9 აგვისტო 2017 წელი

11:00-11:30

სხდომას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:

(1) ხათუნა მარწყვიშვილი (კომისიის თავმჯდომარე) - თსუ, ასოცირებული პროფესორი;

(2) მანანა გაბაშვილი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე) - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (ჯიპა) პროფესორი;

(3) შორენა მამუკაძე (კომისიის მდივანი) - თსუ, ასოცირებული პროფესორი;

(4) ეკატერინე ფირცხალავა - თსუ, ასოცირებული პროფესორი;

(5) ირინე ჟვანია - თსუ, ასოცირებული პროფესორი;

(6) ირაკლი იმედაძე - თსუ, ასოცირებული პროფესორი;

კომისიის მეშვიდე წევრი გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი დავით ძიძიგური საპატიო მიზეზის გამო ვერ დაესწრო სხდომას.

დღის წესრიგი:

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 16 ივნისის N124/01-01 „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბრძანების საფუძველზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კონკურსანტის შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და დასაკავებელ თანამდებობასთან შესაბამისობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით, კენჭისყრის ჩატარება.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის, ასოცირებული პროფესორის ხათუნა მარწყვიშვილის და კომისიის წევრების მოკლე ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტების შეფასების პირველი ეტაპისა და გასაუბრებაზე კონკურსანტების გამოსვლის შედეგების შესახებ.

კომისია ასევე გულდასმით გაეცნო გასაუბრების შედეგების ამსახველი ოქმის, ასევე კონკურსანტის მონაცემების შედარების ამსახველი ოქმის შინაარსს.

შეფასების ორივე ეტაპის შედეგების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, კონკურსანტის საკითხი დადგა ფარულ კენჭისყრაზე.

კენჭისყრაში მონაწილეობდნენ:

(1) ხათუნა მარწყვიშვილი (კომისიის თავმჯდომარე) - თსუ, ასოცირებული პროფესორი;

(2) შორენა მამუკაძე (კომისიის მდივანი) - თსუ, ასოცირებული პროფესორი;

(3) ეკატერინე ფირცხალავა - თსუ, ასოცირებული პროფესორი;

(4) ირინე ჟვანია - თსუ, ასოცირებული პროფესორი;

(5) ირაკლი იმედაძე - თსუ, ასოცირებული პროფესორი;

(6) მანანა გაბაშვილი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე) - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (ჯიპა) სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანის მოადგილე, პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი;

კენჭისყრის შედეგად გამოვლინდა, რომ:

1. პიროვნებისა და კლინიკური ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში:

ასისტენტ პროფესორის თანამდებობაზე ქეთევან მოსაშვილის გამარჯვებულად გამოცხადების მომხრეა - 6, წინააღმდეგი - 0.

დაადგინეს:

პიროვნებისა და კლინიკური ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასისტენტ პროფესორის თანამდებობაზე გამარჯვებულად გამოცხადდეს - ქეთევან მოსაშვილი.

ფსიქოლოგიის დეპარტამენტის პროფესორების აკადემიურ თანამდებობაზე შესარჩევი კომისიის შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს თსუ-ს ვებ გვერდზე და წარედგინოს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

კომისიის თავმჯდომარე: ხათუნა მარწყვიშვილი

კომისიის მდივანი: შორენა მამუკაძე